მოჩივარნი ძმანი

ამაზედან მოვიდენ მოჩივრად სამნი ძმანი წინაშე მეფისა, რომელნი გაყრილიყვნენ ძმობისაგან. ყველა გაეყოთ და ოცდაათი თხა ჰყვათ, იგი ვერც გაეწილათ და ვერცა რიგდებოდენ.

მოახსენეს მეფესა თხათა მათთათვის:

– ათსა თხასა თითო თიკანი ჰყავს, ათსა ორ–ორი და ათსა – სამ–სამი: ესრეთ გვინებს გაყოფა, არცა რომელმან ძმამან ძმაზე მეტი აიღოს და არცა თიკანი დედას მოსწყდეს.

შეიქმნა ცილობა და თქმა. ვერა რომელმან გაყო. ჰკითხეს ჯუმბერს, ძესა მეფისასა, და მან თქვა:

– ოცდაათი თხა არის და სამოცი თიკანი. იგი ათი თხა, რომელსა ორ–ორი თიკანი ჰყავს, მიეცით უხუცესსა, რომელ არს ათი თხა და ოცი თიკანი. იგი ათი თხა, რომელსა ჰყავს სამ–სამი თიკანი, ხუთი თხა საშუალს მიეცით და ხუთი მრწემსსა, რომელი იქნება ხუთ–ხუთი თხა და თხუთმეტ–თხუთმეტი თიკანი. იგი ათი თხა, რომელსა თითო ჰყავს, იგიცა ხუთ–ხუთი მიეცით მათ ორთავე, რომელი იქნება ათ–ათი თხა და ოც–ოცი თიკანი, არცა ძმასა ძმაზე მეტი მიჰხვდეს და არც თიკანი დედასა მოსწყდეს.

რა ესრე გაჰყვნა, მეფესა დიდად იამა, ლეონს მადლი უბრძანა სამეფო სამოსელი შეჰმოსა და თავისსა სახედარსა ტაიჭზე აღსვა, და ფრიადი საუნჯე მიანიჭა.

რუქამ თქვა: თხათა და ცხვართა გაყოფა უსწავლებია და ესოდენი დიდება მიანიჭა, თუცა სამეფო წესი და ჭაბუკთ ზნენი ესწავლებინა, თავის სამეფოს მისცემდაო!

თქვა რუქამ არაკი: